

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #23

ქ. თბილისი

2022 წელი, 22 დეკემბერი, 17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ოთარ გრიგოლია, ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, მიხეილ კაკაურიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ნინო წულაძე, მიხეილ კაკაურიძე, საბა ბუაძე, ლილე ლიპარტელიანი, მამუკა გუგუშაშვილი, ზაზა თავაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

სერგო ბირკაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

დავით ჩანქსელიანი - შპს თბილსერვის ჯგუფი - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი

ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ლევან ჟორჯოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

№	საკითხის დასახელება
1.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ( <a href="#">საკრებულოს № 12-032235548-03- 21.12.2022</a> )
2.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ( <a href="#">საკრებულოს №12-032234849-03 14.12.2022</a> )

3.	<p>ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/ მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ. 404619711) შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო -სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ. 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „არქ არეას“ (ს/ნ. 404619711) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრებულოს №12-03224021-03 06.12.2022)</p>
4.	<p>„ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლე, შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405542024), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-032232249-03 18.11.2022)</p>
5.	<p>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(საკრებულოს №12-032233296-03 29.11.2022)</p>
6.	<p>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032235055-03- 16.12.2022)</p>
7.	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032233522-03 01.12.2022; №12-032233525-03 01.12.2022; №12-032234256-03 08.12.2022; №12-032234317-03 09.12.2022; №12-032234867-03 14.12.2022; №12-032211963-03 29.04.2022 - „დ პოზიცია“; 12-032232065-03 -16.11.2022 „გ პოზიცია“; 12-032235552-03- 21.12.2022; №12-03223468-03 12.12.2022)</p>

8.	ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №12; ქალაქი თბილისი, ჭიჭინაძის ქუჩა, თარგი №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.19.33.012.052; №01.19.33.012.014; №01.19.33.012.011) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-032233546-03 01.12.2022)</a>
9.	ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, სიმონ ავალიანის ქუჩა, №19ა, №19ბ, №23, №23ა, №25, №25ა, №25ბ, №25გ, №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.32.008; №72.16.32.037; №72.16.32.036; №72.16.15.883; №72.16.32.035; №72.16.23.097; №72.16.32.047; №72.16.32.048; №72.16.32.009; №72.16.23.155; №72.16.23.776; №72.16.23.775; №72.16.23.109; №72.16.15.884; №72.16.15.885; №72.16.23.754; №72.16.23.110; №72.16.23.753; №72.16.23.156) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-032233547-03 01.12.2022)</a>
10.	ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.28.252; № 72.16.09.288; №72.16.09.522; №72.16.09.608; №72.16.28.040; №72.16.28.039; №72.16.28.353; №72.16.09.582; №72.16.09.583; №72.16.09.282; №72.16.28.156; №72.16.28.154; №72.16.28.012; №72.16.13.453-ის ნაწილი; №72.16.28.256-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-03223364-03 01.12.2022)</a>
11.	ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.594; №72.16.15.678; №72.16.23.429; №72.16.23.465; №72.16.23.466; №72.16.15.680; №72.16.15.683; №72.16.15.679; №72.16.23.032; №72.16.23.593; №72.16.15.814; №72.16.23.063; №72.16.23.596; №72.16.23.595; №72.16.23.062) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-03223366-03 02.12.2022)</a>
12.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ამაღლების I შესახვევი N7ა, N3, N9ა, N9, N9ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.02.743, N81.02.02.513, N81.02.02.471, N81.02.02.377, N81.02.02.949) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-032234611-03 12.12.2022)</a>
13.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.326; N81.02.21.067; N81.02.21.983; N81.02.21.319) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-032234969-03 15.12.2022)</a>

14.	„ქალაქ თბილისში, ვაკის რიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ - საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N59 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-03223469-03 12.12.2022)</a>
15.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №83, №89, №93, №95, №81, აგარანის ქუჩა №60, №62, №64-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.05.652; №81.02.99.096; №81.02.39.162; №81.02.93.302; №81.02.96.713; №81.02.05.394; №81.02.99.368; №81.02.05.434; №81.02.95.268; №81.02.94.701; №81.02.05.500; №81.02.94.707; №81.02.05.475; №81.02.05.558; №81.02.98.194; №81.02.98.195; №81.02.05.336; №81.02.05.435; №81.02.94.709; №81.02.05.569) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-03224013-03 06.12.2022)</a>
16.	„ქალაქ თბილისში, სოფელი აგარაკში, აგარაკის ქუჩა N61/63/65/67/69/71/73/75; ქალაქი თბილისში, სოფელი აგარაკში, სოფელი თხინვალას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.15.599, N72.16.22.028, N72.16.22.027, N72.16.15.623, N72.16.15.708, N72.16.15.707, N72.16.15.621, N72.16.22.047, N72.16.22.487, N72.16.15.690) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-032234364-03 09.12.2022)</a>
17.	ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.13.38.501) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-032235084-03 -16.12.2022)</a>
18.	ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №81.08.31.491) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” <a href="#">(საკრებულოს №12-032235058-03 -16.12.2022)</a>
19.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.13.669; №81.02.13.671; №81.02.13.670; №81.02.13.672) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე <a href="#">(საკრებულოს №12-032235056-03 -16.12.2022)</a>

20.	„ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.28.207, №72.16.28.208, №72.16.28.201, №72.16.28.214, №72.16.28.210, №72.16.28.209, №72.16.28.211, №72.16.28.200, №72.16.28.212, №72.16.28.203, №72.16.28.213, №72.16.28.216; №72.16.28.215, №72.16.28.293, №72.16.28.153, №72.16.28.278, №72.16.28.251; №72.16.28.228- ნაწილი; №72.16.13.453-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032235059-03 -16.12.2022)
21.	“ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 3 სექტემბრის N318960 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე”(საკრებულოს №12-032235057-03 -16.12.2022)
22.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.39.101; №81.02.96.844; №81.02.96.845; №81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032232173-03 17.11.2022)
23.	განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032234360-03 08.12.2022)
24.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „კარკასის“ (ს/ნ 430029015) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032235022-03 -16.12.2022)
25.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „კერა“-ს (ს/ნ 205031455) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032235022-03 -16.12.2022)
26.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის“ (ს/ნ 400170907) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032235022-03 -16.12.2022)
27.	„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ფალიაშვილის 100“-ის (ს/ნ 402185620) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032235022-03 -16.12.2022)



28.	„ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2 (ს/კ 01.14.03.039.007) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ“ (საკრებულოს №12-032235092-03 -16.12.2022)
-----	--

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს № 12-032235548-03- 21.12.2022)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, სამწუხარო რეალობაა, მაგრამ დღეის მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ვხვდებით საცხოვრებელი ტიპის ავარიულ შენობა-ნაგებობებს, რომელთაც ყავთ მესაკუთრეები, თუმცა მათი ავარიულობიდან გამომდინარე ვეღარ სარგებლობენ, ან სარგებლობენ მაგრამ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაღალი რისკის ფასად. მათი ავარიულობის ხარისხი საკმაოდ მაღალია, ხშირად IV-V კატეგორია. ცხადია ეს ყველაფერი ძალიან ნეგატიურად აისახება, როგორც მესაკუთრეთა ინტერესებზე, ასევე მუნიციპალიტეტის ინტერესებზე. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და მიზანია ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლება და თავის მხრივ, ხელი შეუწყოს თავის მოქალაქეებს მათი საკუთრების განვითარებასა და გამოყენებაში, მიზანშეწონილია განხორციელდეს რიგი ხელშემწყობი ღონისძიებები. ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის მხრიდან გადადგმულია არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როგორცაა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის #10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესი, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტი ავარიული სახლების მესაკუთრეებისათვის სრულიად უსასყიდლოდ, ყოველგვარი დანახარჯების გარეშე უზრუნველყოფს ახალი შენობა-ნაგებობების აშენებას (მუნიციპალიტეტის ხარჯებით). ასევე მნიშვნელოვანია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესი, რომლის 39 1 მუხლი არეგულირებს ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესს ინვესტორების ჩართულობით. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტი, ამ მხრივაც (ავარიული სახლების ჩანაცვლება ინვესტორების ჩართულობით) გეგმავს მაქსიმალურად დაუჭიროს მხარი პროცესს და ხელი შეუწყოს ინვესტორებს რაც შეიძლება მეტი პროექტის განხორციელებაში, რაც თავის მხრივ ავარიული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა პირდაპირი ინტერესის სფეროცაა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ არსებული ფაქტობრივი რეალობიდან

გამომდინარე, ბაზარზე არსებული ფასთა მაჩვენებლები არასტაბილურია, რაც მშენებლობის პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში (მესაკუთრეებთან მოლაპარაკება, მათი ქირები, საცხოვრებელი ბინების რემონტი, სამშენებლო მასალები და სხვა) ინვესტორს უქმნის გარკვეულ პრობლემებს. გარდა ამისა, აღნიშნული მნიშვნელოვანია თავად ადმინისტრაციული ორგანოსთვისაც თავისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესისათვის. სწორედ ამ ყოველივეს გათვალისწინებით, კერძოდ, ადმინისტრირების გამარტივებისა და პროცესების მეტი გამჭვირვალობის მიზნით, მიზანშეწონილია მოხდეს გარკვეული მაჩვენებლების ნორმატიულ დონეზე რეგლამენტაცია. ნორმატიულ აქტში მოხდება იმ მაჩვენებლების გაწერა, რომლებიც გაითვალისწინება ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების პროცესში ეკონომიკური გაანგარიშებების დროს. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებებით, ეკონომიკური გაანგარიშების მიზნებისათვის, ხდება შემდეგი მაჩვენებლების განსაზღვრა: ა) მშენებლობის ღირებულება, მთლიანი სამშენებლო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატება 300 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში). საგულისხმოა, რომ მშენებლობის ღირებულების განსაზღვრისას, სხვადასხვა საექსპერტო დასკვნებით, სხვადასხვა ფასები ფიქსირდება. შესაბამისად, აღნიშნულის, და ზოგადად ბაზარზე არსებული ამ ფასების გათვალისწინებით მიზანშეწონილია რომ სწორედ ეს თანხა (არაუმეტეს 300 აშშ დოლარი) იყოს მითითებული ეკონომიკური გაანგარიშების მიზნებისათვის; ბ) ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში მესაკუთრისათვის/ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრისათვის გადასაცემი ფართის რემონტი თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს 100 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში). ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია თითოეულ ჩასანაცვლებელ შენობა-ნაგებობაში მესაკუთრის ფართის რემონტის მდგომარეობა. ცხადია, ყველა შემთხვევაში ერთნაირი რემონტი არ არის და განსხვავდება მათი მდგომარეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რემონტისათვის მიზანშეწონილია დადგინდეს თითოეული კვადრატული მეტრისათვის არაუმეტეს 100 აშშ დოლარის ოდენობა; გ) ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების პერიოდში, ავარიული სახლისმესაკუთრის/ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის ბინის ქირის კომპენსაცია არ უნდა აღემატებოდეს თვეში 1500 ლარს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ავარიული შენობა-ნაგებობის მდებარეობა. ცხადია უბნების/რაიონების მიხედვით ბინის ქირები არის განსხვავებული, ამიტომ მიზანშეწონილია ბინის ქირის კომპენსაციისათვის განისაზღვროს მესაკუთრეზე/ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრზე თვეში არაუმეტეს 1500 ლარი; დ) ჩანაცვლებულ შენობა-ნაგებობაში სარეალიზაციო ფართის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საექსპერტო დასკვნით გათვალისწინებულ ოდენობას. რაც შეეხება სარეალიზაციო ფართის ღირებულებას, ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ეს განისაზღვროს საექსპერტო დასკვნით და არ მოხდეს დასკვნაში მითითებულზე მეტი ფასის გამოყენება ეკონომიკური გაანგარიშების დროს; ე) ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება არ იანგარიშება. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ როგორც წესი, დემონტაჟის შედეგად ხდება გარკვეული საქონლის/მასალების მიღება, რაც ასევე როგორც წესი არის დაახლოებით იმ ღირებულების, რაც შეიძლება სჭირდებოდეს დემონტაჟის პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იქნება, თუ ამ პროცესისათვის არანაირი თანხა არ იქნება გათვალისწინებული ეკონომიკური გაანგარიშებების დროს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცვლილება ეხება შემდეგ საკითხსაც: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის 16 1 და 16 2 მუხლები ეხება მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების საკითხს იმ შემთხვევაში, როცა ხდება

საცხოვრებელი ფუნქციის განთავსება საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში (სსზ-1; სსზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით, ან საცხოვრებელი ფუნქციის დაშვება იმ ობიექტებზე, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები. ასეთ შემთხვევებში, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია გარკვეული ოდენობის ფართის (თეთრ კარკასულ მდგომარეობაში საცხოვრებელი ბინა ერთეული) გადაცემა მუნიციპალიტეტისათვის ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლების ჩანაცვლება ახალი შენობა-ნაგებობებით და თავის მხრივ ამ მიმართულებით მოსახლეობისა და ინვესტორებისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობა, რათა მოხდეს რაც შეიძლება მეტი ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება, მიზანშეწონილია დადგინდეს გამონაკლისი ამ მუხლებში და მაკომპენსირებელი ღონისძიებისაგან გათავისუფლდეს ინვესტორი (თუ იქნება წესის 16 1 და 16 2 მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები სახეზე), რომელიც ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლებას განახორციელებს მათ შორის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის 39 1 მუხლის შესაბამისად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულაძემ.

***შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად***

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ([საკრებულოს №12-032234849-03 14.12.2022](#))

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება შემოსულობების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადის 8541,7 ათასი ლარის ზრდით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების 425,7 ათასი ლარის შემცირებით და ზოგიერთი შემოსავლის ფაქტიურად მიღებული ოდენობის მიხედვით გეგმის დაზუსტებით. ამასთან, ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის ჯამური მოცულობა შეადგენს 1 567 982,6 ათას ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 0201) 500,0 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) 5404,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) 650,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) 140,2



ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (03 01) 2000,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 7827,6 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) 1100,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) 500,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 060113) 26,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06021811) 27,6 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06021812) 41,1 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) 47,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) 45,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) 20,0 ათასი ლარით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი 07 05 03) 260,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 080801) 60,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 1001) 100,0 ათასი ლარით და ემატება ახალი პროგრამა მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 1023) 1410,0 ათასი ლარის ოდენობით. მცირდება გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია (კოდი 01 01 01) 500,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) 49,3 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) 40,4 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) 25,8 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) 90,7 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) 19,4 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) 140,2 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) 160,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 650,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) 57,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) 279,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) 66,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 117,1) ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) 67,8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) 130,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) 100,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) 2187,6 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) 412,9 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) 2,8 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) 284,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 06) 10,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) 14,2 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) 11,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) 91,3 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) 88,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) 25,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) 13,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) 77,5 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში ათასი ლარით (კოდი 05 01 17) 99,0 ათასი ლარით, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება

(კოდი 06 01 05) 160,0 ათასი ლარით, მუშუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) 200,0 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) 90,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 060) 26,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) 1150,0 ათასი ლარით, უფასო სასაბავშვო მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 14 10) 2,7 ათასი ლარი, უფასო სასაბავშვო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) 25,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 15 11) 9,8 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 15 12) 2,1 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) 10,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 16 11) 6,6 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) 11,3 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) 37,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 17 11) 8,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) 2,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 17 15) 0,06 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) 65,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) 100,0 ათასი ლარით, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) 11,0 ათასი ლარით, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) 32,0 ათასი ლარით, სპორტი უფროსი თაობისთვის (კოდი 08 06 07) 50,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) 1,6 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) 4,8 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) 43,3 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 01) 1000,0 ათასი ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) 1000,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) 33,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) 60,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) 2088,9 ათასი ლარით. ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 493 203,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 388 103,1 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 849 506,7 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 211 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 23 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 599 506,7 ათასი ლარი. გრანტები 302 228,1 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 455,6 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი; - გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1 017,5 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 290 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 10 250,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 236 368,3 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 11 810,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 59 000,0 ათასი

ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 65 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 11 022,3 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები - 39 536,0 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 567 982,6 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 220 639,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 334 333,3 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 13 010,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 167 463,8 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 229 333,3 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა - 334 333,3 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება - 105 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (74 879,5) ათას ლარს, მათ შორის: - ფინანსური აქტივების კლება - 74 879,5 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 74 779,5 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (13 010,0) ათას ლარს, მათ შორის: - ვალდებულებების კლება 13 010,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა ( 61 869,5 ) ათასი ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულაძემ.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/ მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ. 404619711) შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო - სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ. 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „არქ არეას“ (ს/ნ. 404619711) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრებულოს №12-03224021-03 06.12.2022)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში,

ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/ მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ: 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) გათავისუფლების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 1 დეკემბრის №22.1839.1966 განკარგულების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მ/რ-სა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ: 404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 3.1 და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით, შპს „არქ არეას“ (ს/ნ: 404619711) გათავისუფლების თაობაზე.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულაძემ.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

4. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლე, შპს „აბგრიდ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405542024), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ [\(საკრებულოს №12-032232249-03 18.11.2022\)](#)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118 1 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულების პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ იმსჯელა : მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.261) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლე, შპს „აბგრიდ ქონსტრაქშენისთვის“ (ს/ნ: 405542024), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 ნოემბრის N22.1748.1894 განკარგულებით გათვალისწინებული ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი N13-ის მიმდებარედ, N01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთისა და N01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.261) ამავე განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის, სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულაძემ.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების,



ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032233296-03 29.11.2022)

საკითხი წარმოადგინა შპს თბილსერვის ჯგუფი - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსმა დავით ჩანქსელიანმა. მისი თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს „„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებითდამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის“ (დანართი 3) (შემდგომში - წესი)მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი, კრძალავს კონკრეტულ ნარჩენთა განთავსებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების სათავსებში. მე-6 პუნქტში გათვალისწინებულია „დიდგაბარტიანი ნარჩენები“, მოცემული გულისხმობს, ასევე იმ ტიპის საყოფაცხოვრებო ნარჩენს, რომელიც იწვევს, სათავსების შეუსაბამო გადავსებას, ვინაიდან ცარიელმა ყუთებმა დაუშლელ (დაუკეცავ) მდგომარეობაში შეიძლება მოახდინოს, სათავსების იმგვარი გადავსება, როდესაც სათავსი რეალურად ცარიელია, ხოლო დასუფთავების მანქანა, იძულებულია, ხშირად მივიდეს ნარჩენების სათავსის დასაცვლელად, რაც წარმოშობს შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებს. აღნიშნული, წარმოადგენს არსებითად პრობლემატურ საკითხს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, დედაქალაქში ავტომობილების მოძრაობის ინტენსივობას და ხშირ საცობებს. ასევე, წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თბილისის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), ვალდებულია რეგისტრაცია გაუკეთოს მის საკუთრებაზე მცხოვრები პირების რაოდენობასა და რაოდენობის ცვლილებას და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად ხდება მოსაკრებლის გაანგარიშების დაკორექტირება. პუნქტის არსებული ფორმულირება პასუხისმგებელ სამსახურს ავალდებულებს ცნობის წარდგენიდან განუსაზღვრელი ვადით მოახდინოს მოსაკრებლის გაანგარიშების დაკორექტირება, რაც თავის მხრივ არაერთ სირთულესთან თუ გაუთვალისწინებელ ხარჯთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, მოცემულ პუნქტში შესატანი ცვლილებით, დაკორექტირება შეიძლება განხორციელდეს, შესაბამისი განცხადების წარდგენიდან არაუმეტეს, გასული 36 თვის პერიოდზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების პროექტით, წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რის გამოც შესაძლებელი გახდება, პრევენცია მოხდეს შეუსაბამოდ დიდი ხარჯების გაწევის და სათავსების დაზიანებისა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, ნარჩენების შეგროვების მენეჯმენტის ეფექტურ განხორციელებას და დადებითად იმოქმედებს, მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა, ცნობიერების ამაღლებაზე ნარჩენების მართვითი ექსპლუატაცია, განთავსების კუთხით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულაძემ.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

**6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032235055-03- 16.12.2022)**

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N16-104 დადგენილებით შევიდა ცვლილება და მე-8 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრა შემდეგი რედაქციით: „ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წინასაპროექტო კვლევა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოიცავდეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ სერტიფიცირებულ მწარმოებელსა და დამკვეთს შორის, საპროექტო ტერიტორიაზე ბიოლოგიური გამწმენდი სადგურის (ბიოტალეების/სეპტიკების) განთავსების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ბიოტალეებისსაგარნტიო ვადად უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ 2 (ორ) წელს და არანაკლებ 10 (ათი) წლის ვადით უნდა იყოს დადებული“. წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წარმოსადგენი გახდა საპროექტო ტერიტორიაზე ბიოლოგიური გამწმენდი სადგურის (ბიოტალეების/სეპტიკების) განთავსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დადებული უნდა ყოფილიყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ სერტიფიცირებულ მწარმოებელსა და დამკვეთს შორის. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ცვლილებაში, დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი. ნაცვლად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ სერტიფიცირებულ მწარმოებელისა უნდა მიეთითოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი სახელმწიფოების წარმოებული ბიოლოგიური გამწმენდი სადგური (ბიოტალეები/სეპტიკები. აღნიშნულის შესაბამისად, წინსაპროექტო კვლევა უნდა მოიცავდეს მწარმოებელს ან/და საქართველოში ავტორიზირებულ პირსა და დამკვეთს შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ სახელმწიფოში წარმოებული ბიოლოგიური გამწმენდი სადგურის (ბიოტალეების/სეპტიკების) განთავსების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ნინო წულაძემ.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032233522-03 01.12.2022; №12-032233525-03 01.12.2022; №12-032234256-03 08.12.2022; №12-032234317-03 09.12.2022; №12-032234867-03 14.12.2022; №12-032211963-03 29.04.2022 - „დ პოზიცია“; 12-0322187132-03 - 06.07.2022 „დ პოზიცია“; 12-032232065-03 -16.11.2022 „გ პოზიცია“; 12-032235552-03- 21.12.2022; №12-03223468-03 12.12.2022)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032233522-03 01.12.2022; №12-032233525-03 01.12.2022; №12-032234256-03 08.12.2022; №12-032234317-03 09.12.2022; №12-032234867-03 14.12.2022; №12-032211963-03 29.04.2022 - „დ პოზიცია“; 12-032232065-03 -16.11.2022 „გ პოზიცია“; 12-032235552-03- 21.12.2022; №12-03223468-03 12.12.2022) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემა ოთარ ჩიტაძემ და ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 25 წინადადება და პროექტში შესატანი ცალკეული ცვლილებები, კერძოდ:

**№12-032233522-03 01.12.2022;**

ა) ქალაქ თბილისში, კახეთის 63/15, სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.082) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 21 დეკემბრის N18-012235561 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო არეალზე გავრცელდეს სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). საპროექტო ტერიტორია ფაქტობრივი მდგომარეობით ინტენსიურად გამწვანებულ არეალს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის 63/15, სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.082) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ბ) ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით

განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო თავის კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) პრივატიზებას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 19 დეკემბრის N01223532617 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოადგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. საპროექტო N01.17.07.031.069 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-), შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N2-სა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.720) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) არის სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. იმავე წესების შესაბამისად, სპეციალურ ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე საგანმანათლებლო შენობის მშენებლობა, რომელიც განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქ. N2-სა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.720) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

